ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის **შემოსულობები** განისაზღვრა 5 220,8 ათ. ლარი, აქედან: ა) გადასახადების მაჩვენებელი - ქონების გადასახადი განისაზღვრა 200,0 ათ. ლარი, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი 192,0 ათ. ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 1,0 ათ. ლარი და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 7,0 ათ. ლარი;

ბ) დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 4 650,8 ათ. ლარი;

გ) გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 105,0 ათ. ლარი;

დ) სხვა შემოსავლები განისაზღვრა 260,0 ათ. ლარი, მათ შორის: პროცენტები 40,0 ათ.ლარი; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 150,0 ათ. ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 10,0 ათ. ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 5,0 ათ.ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 10,0 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები 40,0 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 5,0 ათ. ლარი;

ე) არაფინანსური აქტივების კლება 5,0 ათ. ლარი.

2021 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის **გადასახდელების** გეგმა განისაზღვრა 5 220,8 ათ. ლარი, საიდანაც:

ა) შრომის ანაზღაურების ფონდი განისაზღვრა 1 581,2 ათ. ლარი;

ბ) საქონელი და მომსახურება 1 423,7 ათ. ლარი: მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 114,6 ათ. ლარი; მივლინებები განისაზღვრა 15,5 ათ. ლარი; ოფისის ხარჯი განისაზღვრა 136,1 ათ. ლარით მუნიციპალიტეტისათვის მიმდინარე ხარჯები საკანცელარიო, საწერ-სახაზავი, ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა, ნორმატიული აქტების და საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების და ყველა სახის საგამომცემლო და სასტამბო ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის, კატრიჯების შეძენა და დატენვის, საოფისე ავეჯი, სანიტარული საგნებისა და სჭირო მასალის შესაძენად, შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მომდინარე რემონტის ხარჯისათვის, კავშირგაბმულობის, საფოსტო მომსახურების, ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, გათბობისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად; წარმომადგენლობითი ხარჯი 9,5 ათ. ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 165,3 ათ. ლარი, მათ შორის: საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი 66,2 ათ. ლარი; მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციის მოვლა შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 45,5 ათ. ლარი; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 53,6 ათ. ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება განისაზვრება 982,7 ათ. ლარით, მათ შორის: ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯი 5,0 ათ. ლარი; კადრების მომზადება გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 15,8 ათ. ლარი; აუდიტორული მომსახურების ხარჯი 1,0 ათ. ლარი; საარქივო მომსახურების ხარჯი 1,5 ათ. ლარი; შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი 74,7 ათ. ლარი; ბინის ქირა 4,6 ათ. ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებებისა და მაუწყებლობის ხარჯი 81,4 ათ. ლარი; აზომვითი ნახაზებისათვის 4,5 ათ. ლარი; ტენდერების და აუქციონების მომსახურების ხარჯი 5,8 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდის მომსახურება 10,0 ათ. ლარი; ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლა (IPSAS) 4,9 ათ. ლარი; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) მომსახურება 7,8 ათ. ლარი; მომსახურება საჯარო რეესტრში მომსახურებისათვის 0,2 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო 5,5 ათ. ლარი; მაწანწალა ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში 10,0 ათ. ლარი; დასუფთავების ღონისძიებაზე 350,0 ათ. ლარი; გარე განათების მომსახურება 50,0 ათ. ლარი; გარე განათების ელექტროენერგიის გადასახადი 170,0 ათ. ლარი; ადგილობრივი გზების მიმდინარე და

პერიოდული შეკეთება, თოვლის წმენდა 100,0 ათ. ლარი; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 50,0 ათ. ლარი; სანიაღვრე არხების წმენდა 30,0 ათ. ლარი.

გ) პროცენტი - შეძენილი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების სესხის დასაფარი პროცენტი მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდში 34,9 ათ. ლარი.

დ) სუბსიდიები განისაზღვრა 996,3 ათ. ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დაფინანსება 314,0 ათ. ლარი; ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი 172,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა 42,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა 42,4 ათ. ლარით; ა(ა)იპ კულტურის ცენტრი 150,5 ათ. ლარით; ა(ა)იპ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 63,0 ათ. ლარით; ა(ა)იპ ბიბლიოთეკა 73,7 ათ. ლარი; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი 36,9 ათ. ლარი; ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 43,4 ათ. ლარი; ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 45,4 ათ. ლარი; წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსება 10,0 ათ. ლარი და 3,0 ათ. ლარი ტურისტული მართვის ორგანიზაციის დაფინანსებისათვის.

ე) გათვალისწინებულია სოციალური დახმარებები 172,0 ათ. ლარის, მათ შორის: ავადმყოფთა სოციალური დაცვა 88,0 ათ. ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება 14,4 ათ. ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვის შეძენასთან, ობოლ ბავშვების ოჯახებზე და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა 48,3 ათ. ლარი; ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები 0,5 ათ. ლარი; 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერსა და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება 4,4 ათ. ლარი; სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა, დაინვალიდებულთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვა 4,0 ათ. ლარი; ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოც.დაცვა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება 2,4 ათ. ლარი; სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი 10,0 ათ, ლარი.

ვ) სხვა ხარჯები განისაზღვრა 231,0 ათ. ლარით, მათ შორის: სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ხარჯი 10,0 ათ. ლარი; საკრებულოს დეპუტატების წევრების ხარჯი 63,0 ათ. ლარი; სოფ. მრავალძარში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ტერიტორიის კეთილმოწყობა 40,0 ათ. ლარი; სარეზერვო ფონდი 100,0 ათ. ლარი; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აცრების ხარჯი 8,0 ათ. ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსება 10,0 ათ. ლარი.

ზ) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 726,1 ათ. ლარით, მათ შორის: კომპიუტერების შესაძენად 8,4 ათ. ლარი; აბონენტთა აყვანის ხარჯი 8,0 ათ. ლარი; ქონების რეგისტრაცია 0,5 ათ. ლარი; საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურებაზე 125,4 ათ. ლარი; საინჟინრო, საამშენებლო, ტექნიკურ საზედამხედველო მომსახურებაზე 200,0 ათ. ლარი; დაიგეგმა წილობრივი მონაწილეობისათვის 277,7 ათ. ლარი სოფ. ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირება 32,5 ათ, ლარი, ზუდალი-შარდომეთის გზის ასფალტირება 17,5 ათ. ლარი, სოფელ სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ხეითი, ზვარეთი, ახალი ჩორდი, შრომის უბანი, კვაშხიეთი და შუა შქმერის წყლის სისტემის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია 50,0 ათ. ლარი, ქ. ონის საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა 150,0 ათ. ლარი, ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია (III ეტაპი) 7,5 ათ. ლარი, ქ. ონში არსებული საბავშო ბაღის რეაბილიტაცია 20,3 ათ. ლარი, ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში საგრანტო პროექტზე - Covid-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება ონის მოსახლეობაზე მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით" თანადაფინანსებისათვის 6,0 ათ. ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისათვის 100,0 ათ. ლარი;

თ) ვალდებულების კლება - სესხი - შეძენილი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების სესხის დასაფარი ძირი თანხა მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდში 55,6 ათ. ლარი;

ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის 2020 წელს შემოსულობების მთლიანი გეგმა შეადგენს 17 216,0 ათ. ლარს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეულმა გადასახდელების 2020 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთით 874,1 ათ.ლარის ჩათვლით გეგმა შეადგენს 18

090,1 ათ. ლარს. აქედან საკუთარი შემოსავლებია 5 331,5 ათ. ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 12 758,6 ათ. ლარია, რითაც ხორციელდება: ქ. ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის (II ეტაპი) სამუშაოები; სოფელ ბარი-მრავალძალის (ეკლესიამდე მისასვლელი) გზის ასფალტირება (VI ეტაპი); ქ. ონში არსებული სანიღვრე არხების რეაბილიტაცია (II ეტაპი); ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლაში, უწერაში, პიპილეთში, სორში და ქვემო ბარში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია; ქ. ონში არსებული სპორტული კომპლექსის ექსპლოატაციისათვის საჭირო დამატებითი სამუშაოების დაფინანსება; სოფელ სორის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაობი; სოფელ ღებში, ჭიორაში და პიპილეთში საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ ღარის და შეუბნის საჯარო სკოლებში გარე სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

2020 წლის შემოსულობების წლიური გეგმიდან 17 216,0 ათ. ლარიდან 10 თვის მონაცემებით შემოსულია 10 172,1 ათ. ლარი (59%); აქედან საკუთარი შემოსავლების წლიური გეგმა 4 854,4 ათ. ლარი, ფაქტად შემოვიდა 3 915,8 ათ. ლარი (80%), სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმა 12 361,6 ათ. ლარი, ფაქტი 6 256,3 ათ.ლარი (50%). გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენდა 18 090,1 ათ. ლარს ფაქტიურად გაიხარჯა 10 362,2 ათ.ლარი (57%); აქედან საკუთარი შემოსულობებიდან გადასახდელების გეგმა 5 331,5 ათ. ლარი ფაქტი 4 149,0 ათ. ლარი (78%), სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გადასახდელების გეგმა 12 758,6 ათ. ლარი ფაქტიურად გაიხარჯა 6 213,2 ათ. ლარი (49%).

პროექტი შეადგინა: ვ. გობეჯიშვილი

შემსრულებები: თ. ბროლაშვილი